



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 13 ნოემბრის
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე, მამუკა ნოზაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ მარიამ გობეჯიშვილის 2019 წლის 8 ნოემბრის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა წარმოდგენილი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით დასტურდებოდა, რომ 2006 წლის 3 აგვისტოდან იგი მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის მდივნის, ხოლო 2007 წლის 18 მაისიდან - მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. 2018 წლის 15 იანვრიდან იგი დაინიშნა ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მოსამართლის თანაშემწის - პირველი კატეგორის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 2018 წლის 10 აპრილიდან - ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი კონსულტანტის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

მარიამ გობეჯიშვილი, განცხადებაში აღნიშნავდა, რომ 2006 წლიდან იგი მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში და 2006 წლამდე, მას ჰქონდა ადვოკატად მუშაობის გამოცდილება, რომელიც დასტურდებოდა შრომის წიგნაკის ასლით და რომელშიც მითითებული იყო, რომ 2004 წლის 6 ივლისიდან 2006 წლის 14 მარტამდე იგი მუშაობდა ადვოკატად შპს იურიდიული ფირმა „იურისტი 2003“- ში. ასევე, წარმოდგენილი ჰქონდა შპს

იურიდიული ფირმა „იურისტი 2003“- დან გაცემული მოწმობის ასლი. განცხადებაში უთითებდა, რომ წარმოდგენილი შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება მის მიმართ არ უნდა გავრცელებულიყო.

წევრები გაეცნენ მარიამ გობეჯიშვილის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნეს, რომ 2019 წლის 1-ლი იანვრიდან „ადვოკატთა შესახებ“ კანონში შესული ცვლილების თანახმად, ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნაა 1-წლიანი ადაპტაციის პროგრამის გავლა, რომელიც შედგება 3 თვიანი თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მარიამ გობეჯიშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ თამარ დიდიძის, მიხეილ გუგუტიშვილის, თამთა ფირცხალავას, ლაშა ღამბარაშვილის, ნანა გიორგაშვილის, სალომე შუბითიძის, მაგდა ბერიძის, ანრი გუგეშაშვილის, გიორგი გოშაძის მიერ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ დიდიძის, მიხეილ გუგუტიშვილის, თამთა ფირცხალავას, ლაშა ღამბარაშვილის, ნანა გიორგაშვილის, სალომე შუბითიძის, მაგდა ბერიძის, ანრი გუგეშაშვილის, გიორგი გოშაძის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ პაატა გახოვიძეს, დავით კორძაიას და სალომე დვალის განცხადებებს, პირადი განცხადების საფუძველზე წევრობის შეჩერების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირებს არ გააჩნიათ საწევრო დავალიანება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს პაატა გახოვიძის, დავით კორძაიას და სალომე დვალის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება

აღმასრულებელმა მდივანმა, აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 1-ლი ნოემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ცვლილებების შესაბამისად, წევრებს გააცნო ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

წევრებმა განიხილეს განახლებული ბიუჯეტის პროექტი და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის ბიუჯეტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება

წევრები გაეცნენ ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სიას. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N2).

საკითხი 6. ადვოკატ დავით კაკუშაძის განცხადების გაცნობა ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე

წევრები გაეცნენ ადვოკატ დავით კაკუშაძის 2019 წლის 17 სექტემბრის განცხადებას, თანდართული ავტობიოგრაფიით, ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დავით კაკუშაძის 2019 წლის 17 სექტემბრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 7. ადვოკატის უფლებათა დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტის დებულების დამტკიცება და კომიტეტში გაწევრიანების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით შექმნილი ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტში გაწევრიანების მსურველ პირებს, შესაძლებლობა ექონდათ მოემართათ ასოციაციისთვის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე. შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციაში შემოსულია 13 პირის განცხადება, რომელთაც სურვილი გამოთქვეს კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს გაეცნენ ადვოკატის უფლებათა დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტის დებულების პროექტს და კომიტეტში გაწევრიანების მსურველი პირების განცხადებებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

(ა) დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტის დებულება სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N3);

(ბ) დაკმაყოფილდეს ადვოკატების ოთარი გოგოლაძის, მარეხი ჩიტაშვილის, მზია გიორგაძის, ვეფხვია ჩილინგარაშვილის, ზაზა ჩიტაშვილის, მერაბ გოგოლაძის, იური ფატარძის, ეკატერინა აბაშიძის, შალვა გოგოლაძის, ნუგზარ სამარჯიშვილის, იოსებ ხითარიშვილის, მარტიროს ოგანესიანის და გიორგი ჯვარიძის განცხადებები ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 8. ასოციაციის აპარატში არსებული ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნა

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ვაკანტურია აპარატის ორი სამტატო ერთეული: ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისა და თავმჯდომარის თანაშემწის პოზიციები, წარუდგინა პოზიციისთვის გაწერილი სამუშაო აღწერილობები და განმარტა, რომ მიზანშეწონილია ვაკანტურ სამტატო ერთეულებზე კანდიდატის შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს საკონკურსო კომისია.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ სამუშაო აღწერილობებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისა და თავმჯდომარის თანაშემწის ვაკანტურ საშტატო ერთეულებზე კანდიდატის შერჩევის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), თორნიკე ბაქრაძე (ეთიკის კომისიის თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი (აღმასრულებელი საბჭოს წევრები), გიორგი ჭეხანი (აღმასრულებელი მდივანი), სალომე ტყეშელაშვილი (ადმინისტრაციის უფროსი), ქეთევან თურაზაშვილი (სასწავლო ცენტრის დირექტორი).

საკითხი 9. საქართველოს პარლამენტისათვის საპროკურორო საბჭოს წევრად ასარჩევად ადვოკატთა ასოციაციის წევრ(ებ)ის წარდგენის საკითხი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2019 წლის 31 ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი საქართველოს პარლამენტის მიერ საპროკურორო საბჭოს 2 წევრის ასარჩევად.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საპროკურორო საბჭო დამოუკიდებელი კოლეგიური ორგანოა, რომელიც შექმნილია პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და მასში ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლის მონაწილეობა მნიშვნელოვანია სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის.

“პროკურატურის შესახებ” კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, “ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, საპროკურორო საბჭოს წევრობის კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევისათვის “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული პირობებით და დადგენილი წესით, რომლის თანახმადაც: საპროკურორო საბჭოს კანდიდატები შეირჩევიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევარებისაგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისაგან ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისაგან, შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საპროკურორო საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მაღალი რეპუტაცია და აღიარებულია როგორც სამართლის დარგის სპეციალისტი. ამასთან, ერთი და იგივე პირი საპროკურორო საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ ორჯერ.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აღმასრულებელმა საბჭომ მიზანშეწონილია იმსჯელოს იმ კანდიდატ(ებ)ის თაობაზე, რომელსაც ასოციაცია წარუდგენს საქართველოს პარლამენტს საპროკურორო საბჭოს წევრებად ასარჩევად.

წევრებმა აღნიშნეს, რომ საპროკურორო საბჭოში ასარჩევად ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელთა ნომინირება საჭირო პროცესია, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროკურატურის ორგანოების დამოუკიდებლობა და რეფორმების გამჭვირვალედ განხორციელება. მსჯელობის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის მიერ საპროკურორო საბჭოს 2 წევრის ასარჩევად ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან ნომინირებისათვის დასახელდნენ ადვოკატთა ასოციაციის წევრები, ასოციაციის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე თეა ხამხაძე და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი გიორგი თევზაძე.

საპროკურორო საბჭოს წევრად ასარჩევი კანდიდატების წარდგენის საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. “პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის “ე” ქვეპუნქტისა და “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ცალ-ცალკე ღია კენჭისყრის შედეგად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს პარლამენტს საპროკურორო საბჭოს წევრად ასარჩევად წარედგინოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი - თეა ხამხაძე, ადვოკატის სიითი #0883 (მომხრე - 7 წევრი; წინააღმდეგი - 0);
2. საქართველოს პარლამენტს საპროკურორო საბჭოს წევრად ასარჩევად წარედგინოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი - გიორგი თევზაძე, ადვოკატის სიითი #1392 (მომხრე - 6 წევრი; წინააღმდეგი - 0; გიორგი თევზაძე კენჭისყრაში არ მონაწილეობდა).

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე